საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/26

ქ. ბათუმი 28 მარტი, 2022 წ.

ბსუ-ს ფიტოპათოლოგიის და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი კონკურსის შედეგების დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს ფიტოპათოლოგიის და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 15 თებერვლის №01-02/48 ბრძანებისა და საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№3, 22.03.2022) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. დამტკიცდეს ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 15 თებერვლის №01-02/48 ბრძანებით გამოცხადებული ბსუ-ს ფიტოპათოლოგიის და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი კონკურსის შედეგები **დანართი 1**-ის შესაბამისად.
2. კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს წინამდებარე დადგენილების **დანართი 1-ში** აღნიშნული ვადების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების“ დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილების თანახმად.
3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,კონკურსები“ და ,,აკადემიური საბჭოს დადგენილებები“).
4. დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, **ბსუ-ს** ფიტოპათოლოგიის და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, კონკურსში გამარჯვებულ პირებს.
5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს ფიტოპათოლოგიის და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის შედეგების დამტკიცების თაობაზე“
ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 28 მარტის N06-01/26 დადგენილების

დანართი 1.

№	ბსუ-ს ფიტოპათოლოგიის და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული - განყოფილება	სამეცნიერო თანამდებობის/ საშტატო ერთეულის დასახელება	გამარჯვებული კონკურსანტი	გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების ვადა
1	გამძლეობის გენეტიკა	მეცნიერი თანამშრომელი	ქეთევან მემარნე	01.04-2022-დან 01.04.2027-მდე
2	კოლხეთის ტორფნარები და წყლის ეკოსისტემების კონსერვაცია	მეცნიერი თანამშრომელი	ნათელა ტეტემაძე	01.04-2022-დან 01.04.2027-მდე